

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

22 თებერვალი 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 18:11სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, ზვიად კორძაძე, რუსუდან პიტავა, ზურაბ ტაბიძე, როინ მიგრიაული, გოჩა სვანიძე, ზაზა ხატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. 2008 წლის საგაზაფხულო ტესტირების თარიღის განსაზღვრისა და საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცების შესახებ;
2. მამუკა ნოზაძის განცხადების განხილვის შესახებ;
3. ასოციაციის წევრთა მიერ შეღავათების მოთხოვნით შემოტანილი განცხადებების განხილვის შესახებ;
4. CCBE-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ;
5. საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ ცვლილებების საბოლოო ვარიანტის პარლამენტში წარდგენის თაობაზე.
6. სხვა მიმდინარე საკითხები.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გახსნა თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხით.

2008 წლის საგაზაფხულო ტესტირების ოპტიმალურ თარიღად დასახელდა 20-22 მაისი, ანუ სამი დღე გაგრძელდება. პირველ დღეს, ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით ჩატარდება, მეორე დღეს – სამოქალაქო

სამართლის სპეციალიზაციით და მესამე დღეს - საერთო სპეციალიზაციით. აღნიშნული წინადადება მისაღებად ჩათვალა საბჭოს ყველა წევრმა;

ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის კანდიდატთა არჩევა შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

რაც შეეხება, ასოციაციის წევრთათვის სოციალური დახმარების გაწევას, აღნიშნულის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი თუ შეიქმნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი. საბჭოს წევრის ზვიად კორძაძის განმარტებით სოციალური დახმარების ფონდი ცალკე უნდა დარეგისტრირდეს. ასოციაციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფონდის შეიქმნა სასურველია სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით. როინ მიგრიაულის მოსაზრებით, ფონდი უნდა შეიქმნას მინიმალურ დროში და აქვე, გამოთქვა მზადყოფნა თანხის გაღებისთვის.

ზურაბ ტაბიძისა და ზაზა ხატიაშვილის მოსაზრებით, მ. ნოზაძეს უნდა გაეწიოს სოციალური დახმარება.

გოჩა სვანიძის განმარტებით, რადგან არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, თუმცა შემდგომში ფონდის შექმნა შესაძლებელს გახდის ამ მოთხოვნისა და სხვა მსგავსი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სხდომაზე ზვიად კორძაძის მიერ დასახლედა კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტი, თუ როგორ მოხდებოდა მ. ნოზაძის მოთხოვნის დაკმაყოფილება: რადგან მოთხოვნა ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, ნოზაძის სახელზე გაიხსნას ანგარიში, სადაც გარკვეული თანხა შეგროვდება. ამ მოსაზრებას დაეთანხმა ზაზა ხატიაშვილი და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ინდივიდუალურად მოხდება თანხების აკუმულირება ნოზაძის ანგარიშზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს დაევალა მამუკა ნოზაძის ინფორმირება ფონდის მოსალოდნელ შექმნასთან დაკავშირებით.

განხილულ იქნა ასოციაციაში საწევრო შეღავათის მოთხოვნით შემოტანილი ოთხი განცხადება და თანდართული დოკუმენტები.

ასევე, განხილულ იქნა CCBE-ის წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, კერძოდ, ქცევის კოდექსის აღმასრულებელი საბჭოს მიერ აღიარება და საწევროს გადახდა, რომელიც შეადგენს ათას ევროს. აღნიშნული ვალდებულებების შესრულება, საბჭოს მიერ შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე პუნქტი, კერძოდ, საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ ცვლილებების საბოლოო ვარიანტის პარლამენტში წარდგენის საკითხი, განხილვას არ დაექვემდებარა, რადგან ცვლილებათა პროექტი შემუშავებულ იქნა აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2007 წლის 3 ნოემბრის სხდომაზე;

დღის წესრიგის მეექვსე პუნქტში მოხდა რამდენიმე საკითხის გაერთიანება:

ა) ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, რომელთაც დავალიანება ერიცხებათ საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო;

ამ საკითხთან დაკავშირებით, ზვიად კორძაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ აღმასრულებელი საბჭოს მიერ უნდა მოხდეს იმ წევრთა სიის გამოქვეყნება, რომლებიც არ იხდიან საწევროს და ვინც არ გადაიხდის - გაირიცხოს. მნიშვნელოვანია ის სტატისტიკა, სადაც არსებულ წევრთაგან, ნაწილი საერთოდ არ იხდის საწევროს, ნაწილი თავს არ თვლის ადვოკატად და ამის გამო თავს არიდებს გადასახადს და ის კატეგორია, ვისაც არ შეუძლია საწევროს გადახდა. ყველა ის წევრი, რომელიც არ იხდის საწევრო შენატანს უნდა გაირიცხოს. ამის შემდეგ განისაზღვრება ასოციაციის წევრთა რეალური ოდენობა. გაირიცხვის

პროცედურა ერთი თვის განმავლობაში უნდა დასრულდეს და სანამ არ დასრულდება, წევრებს ახალი მოწმობები არ უნდა დაურიგდეს. გასარიცხი წევრები ერთიან კეტეგორიად უნდა გაერთიანდეს. ბატონ ზვიადს დაეთანხმა გოჩა სვანიძე და აღნიშნა, რომ მსჯელობა გარიცხვის შესახებ, უმჯობესია ყველაზე ერთად.

თავმჯდომარის განმარტებით აუცილებელია, წარმოებაში იმ პირთა ჩართვა, რომელთაც ეხებათ ამ პროცედურის განხორციელება და აქვე აღნიშნა, რომ სასურველია ჯერ ადმინისტრაციული წარმოებით მოხდეს 2006 წლის საწევრო გადაუხდელოთა საკითხის განხილვა.

ასეთ წევრებს განესაზღვრებათ ერთ თვიანი ვადა და პარალელურად დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. წარმოების დაწყების შესახებ ცნობა გამოქვეყნდება საჯაროდ.

საბჭოს წევრმა რუსუდან პიტავამ განმარტა, რომ უკანასკნელი თარიღის განსაზღვრა აუცილებელია ძველი მოწმობებისთვის და ახალი ნიმუშის მოწმობები გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვისაც გადახდილი აქვთ საწევრო.

იმ წევრებს, რომელთაც საწევრო გადახდილი აქვთ, ახალი მოწმობის მიღების სურვილით მომართეს ადვოკატთა ასოციაციას და წარმოადგინეს მოწმობის დასამზადებლად საჭირო ყველა დოკუმენტი, უნდა გადაეცეთ პლასტიკური მოწმობები – აღნიშნა დავით ასათიანმა.

ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი პლასტიკური მოწმობის ნიმუშის დამტკიცება.

ადვოკატის მოწმობის სხდომაზე წარმოდგენილი ნიმუში შეფასდა დადებითად.

ზვიად კორძაძის ინიციატივით განსახილველ საკითხთა ნუსხას დაემატა სამი საკითხი: იურიდიული ფირმების რეგისტრაცია;

სარევიზიო კომისიის ვადის გასვლა და აუდიტის მოწვევა;

რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, დღის წესრიგით – ასოციაციის თავმჯდომარის არჩევა.

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ არ ითვალისწინებს სანქციას იმ ბიუროების მიმართ, რომლებიც დადგენილ ვადაში არ აცნობებენ ასოციაციას ინფორმაციას რეგისტრაციის თაობაზე. ამდენად, სანქცია უნდა დაწესდეს იმ ბიუროების მიმართ, რომლებიც ამ ვალდებულებას არ შეასრულებენ.

ასევე, არსებობენ ბიუროები, რომლებიც ფუნქციონირებას ახორციელებენ შპს-ს ფორმით, რაც ეწინააღმდეგება კანონს, აქაც გარკვეული ღონისძიების გატარებაა აუცილებელი.

თავმჯდომარის განმარტებით, ერთადერთი გამოსავალი ადვოკატთა კანონში ცვლილებების შეტანაა. გარდა ამისა, შეზღუდვა უკვე არსებობს: ის ბიურო რომელიც ინფორმაციას თავისი რეგისტრაციის შესახებ არ მიაწვდის ასოციაციას არ შევა ბიუროთა რეესტრში. რაც შეეხება, შპს-ს ეს უკვე სამართალმწარმოებელი ორგანოების არაინფორმირებულობაზე მეტყველებს, რადგანაც საქმის კურსში არ არიან, რომ ამ სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით საადვოკატო ბიურო არ უნდა არსებობდეს და ასეთი ბიუროდან მიღებული არანაირი დოკუმენტი არ უნდა აღიარონ როგორც კანონშესაბამისი.

ბიუროებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა გოჩა სვანიძემ აღნიშნა, რომ თუ იქნება რაიმე სახის დაინტერესება, მაგალითად, დარეგისტრირებული ბიუროების საძიებო სისტემაში მოხვედრა, ისედაც გახშირდება შეტყობინებები ბიუროს რეგისტრაციის თაობაზე.

ვინაიდან, ABA-ისა და CCBE-ის ვებ გვერდებზე არის ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ბმული, ავტომატურად მარტივდება ჩვენს ვებ გვერდზე შესვლა.

იმის გამო, რომ ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიას ამოეწურა მოქმედების ვადა და არ არსებობს სარევიზიო კომისიის 2007 წლის დასკვნა, უნდა მოხდეს აუდიტის მოწვევა.

ზვიად კორძაძის განმარტებით, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ასოციაციის თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადა ეწურება. კრების მოწვევასთან დაკავშირებით სხდომაზე აზრთასხვადასხვაობა გამოიკვეთა, რაც გამოწვეული იყო თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შედეგომის საკითხით, ზემოთაღნიშნულის გადასაწყვეტად საბჭოს წევრებმა დრო ითხოვეს.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების საფუძველზე, დადგინდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების თარიღი.

ადვოკატთა ტესტირება გაგრძელდება სამი დღე, 2008 წლის 20 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში;

2. სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, ასოციაციის წევრთათვის სოციალური დახმარების გაწვევის საკითხი გადაიდო ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნამდე;

3. ასოციაციის წევრთა განცხადებებიდან, საწევრო შეღავათების მოთხოვნის თაობაზე, დაკმაყოფილდა: ე. კეკელიძის, მ. მელუასა და ფ. კონოსოვის განცხადებები. ხ. ოზაშვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

4. ა) CCBE-ის ქცევის კოდექსის მიღება;

ბ) საწევროს გადახდა.

5. განხილვას არ დაექვემდებარა;

6.

6.1 საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და გარიცხვის კანდიდატთა სიის გამოქვეყნება;

6.2 დამტკიცდა სხდომაზე წარმოდგენილი საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნიმუში და ასევე გადაწყდა, ახალი მოწმობის გაცემა მხოლოდ იმ წევრებზე, რომელთაც საწევრო დავალიანება არ ერიცხებათ.

6.3 რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის საკითხი გადაიდო შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად ღია კენჭისყრით.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დ. ასათიანი, ზ. კორძაძე, რ. პიტავა, ზ. ტაბიძე,
რ. მიგრიაული, გ. სვანიძე, ზ. ხატიაშვილი.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე